

მონიტორინგის მთავარი მიზნები

17-23 მარტის პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- სიმულვილის ენა მედიის (ასავალ-დასავალი, საქინფორმი) მხრიდან უკავშირდებოდა კონკრეტული პირების საქმიანობას (ზურაბ ქარუმიძის ლიტერატურულ ნაწარმოებს „მელია-ტულეფია: Fox-Trot“, უკრაინის პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენუკს), ხოლო რესპონდენტის (არისტარხ რაბინოვიჩი) მხრიდან - უკრაინის პოლიტიკურ ლიდერებს, რა დროსაც მათი წინაპრების ებრაულ წარმომავლობაზე ხდებოდა აპელირება.

სასულიერო პირის (ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი) მხრიდან სიმულვილის ენა და ძალადობისკენ მოწოდება კი 17 მაისს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იყო გამოხატული;

- არმენოფობიული განწყობები კონკრეტული პირების (ზურა ქარუმიძე, საქართველოს ელჩობის კანდიდატი დიდ ბრიტანეთში; საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი) მიმართ

გაგრძელება გვ. 2

5, 17-23 მარტი



რეაბირება



არასამთავრობო ორგანიზაციების - MDF-ის, GDI-ისა და TDI-ის განცხადებას ტელეკომპანია "იმედის" გადაცემა "პანორამაში" გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, 26 მარტს გადაცემის სარედაქციო ჯგუფის მხრიდან გამომხატურება მოჰყვა.

ინტერნეტპორტალ media.ge-სთვის მიცემულ წერილობით კომენტარში რედაქციამ არასამთავრობოების შენიშვნა იმ ნაწილში გაიზიარა, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზასთან დაკავშირებით საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომები ეროვნების მოქალაქეების შეფასება ზედმეტად განზოგადებული იყო. რედაქციამ ასევე გამოთქვა მზაობა, მომავალში მეტი სიფრთხილით მოეკიდოს ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებული თემების გაშუქებას და გაითვალისწინოს ყველა კონსტრუქციული შენიშვნა.

მისასალმებელია, რომ "პანორამას" რედაქცია კონსტრუქციულად მიუდგა განცხადებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, თუმცა, 30 მარტს ეთერში გასულ გადაცემაში რედაქციას საზოგადოებისთვის თანაზომადი ფორმით არ მიუწოდებია ინფორმაცია არც არასამთავრობო ორგანიზაციათა შენიშვნების, არც მათი საპასუხო პოზიციის შესახებ. პროფესიული სტანდარტი მოითხოვს, რომ მედიამ თანაზომადი საშუალებით და ფორმით მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება მსგავს შემთხვევებთან მიმართებაში.

განცხადების ტექსტი იხ. გვ 10-ზე

შინაარსი

სიმულვილის ენა	3
არმენოფობია, ეთნიკური კუთვნილების დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება	3
ანტითურქული განწყობები	4
ანტიდასავლური განწყობები	5
რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია და შუღლის გაღვივება	7
სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია	7
სპეკულაციები 17 მაისის თემაზე	9
გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია	9

მონიტორინგის მთავარი მიზნები

დასაწყისი გვ. 1

რესპონდენტების მხრიდან იყო გამოხატული, რა დროსაც დაუსაბუთებლად ხდებოდა ამ პირთა წარმომავლობაზე სპეკულირება;

- ანტითურქულ განწყობებს როგორც რესპონდენტები (მერაბ ლოღობერიძე, თავისუფალი საქართველო; ელიზბარ ჯაველიძე, სახალხო კრება; დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი; ვალერი გელაზიანი, იურისტი); ასევე მედია (ასავალ-დასავალი) ავრცელებდა;
- ნატოს გაფართოვების კონტექსტში თურქეთის, როგორც სამცხე-ჯავახეთისთვის საფრთხის წარმოჩენა, სომხეთის პარლამენტის დეპუტატის შირაკ ტოროსიანის ინდივიდუალურ განცხადებას ეფუძნებოდა. აღნიშნულ თემაზე, ისევე როგორც სამცხე-ჯავახეთში არსებულ ვითარებაზე ტელეკომპანია "იმედის" გადაცემა "პანორამას" მიერ მომზადებულ სიუჟეტში მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 6 მუხლი იყო დარღვეული;
- ეთნიკური და სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი მითითება მედიის მიერ (კვირის ქრონიკა, საქინფორმი, Geworld.ge) კვლავ უკრაინის პოლიტიკურ ლიდერებთან მიმართებით ხდებოდა;
- უკრაინის პოლიტიკური ლიდერების ეთნიკური და სექსუალური იდენტობა ანტიდასავლური განწყობების მხრივ იყო წარმოდგენილი (Geworld.ge), როგორც ამერიკის მიერ უკრაინელებისთვის თავსმოხვეული "უცხო" ძალებისა და ღირებულებების ერთობლიობა;

- უმცირესობების უფლებების დაცვა წარმოდგენილია, როგორც დასავლეთის მიერ მართლმადიდებლობასთან ბრძოლა როგორც რესპონდენტების (ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება; დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი), ასევე მედია საშუალების მხრიდან (ობიექტივი);
- ამასთანავე ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა საბერძნეთის შესახებ არასწორი ფაქტების გავრცელებას და ასოცირების ხელშეკრულებაში უმცირესობათა უფლებების შემზღვევადი ჩანაწერების გაკეთების მოთხოვნას უკავშირდებოდა (დავით თარხან-მოურავი, პატრიოტთა ალიანსი);
- რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია და შუღლის გაღვივება იეჰოვას მოწმეებს, ასევე ევანგელურ-ბაპტისტურ ეკლესიის წინამძღვრის, მალხაზ სონდულაშვილის მიერ უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, ასევე თელავში სტალინის ძეგლის დემონტაჟში მის მონაწილეობას უკავშირდებოდა (ასავალ-დასავალი);
- ჰომოფობიურ განცხადებებთან ერთად, ხდებოდა სპეკულაციური შეფასებების გავრცელება 2014 წელს ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის, 17 მაისის აღნიშვნასთან დაკავშირებით და ამ საკითხის უკრაინის მეიდანის მოვლენებთან და ნაციონალურ მოძრაობასთან დაუსაბუთებელი დაკავშირება ("ობიექტივი", "ასავალ-დადასავალი");

- 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენების ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებას ასევე საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ჰქონდა ადგილი;
- გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია როგორც მედიის (გაზეთი "კვირის ქრონიკა"), ასევე რესპონდენტის (გივი სიხარულიძე, მსახიობი) მხრიდან იყო გამოხატული;
 - არასწორ ინფორმაციას ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ადამიანებისთვის ჩიპების სავალდებულო ჩაყენების და ამ გზით მათი კონტროლის შესახებ მედია (ობიექტივი) ახდენდა.

პოზიტიური გამოქვების მაგალითები:

- დუხობორების შესახებ გამართული ფოტოგამოფენა დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მხოლოდ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გააშუქა;
- აღსანიშნავია, რომ ნოვრუზ ბაირამის და კლოჩე სარეს დღესასწაულები სატელევიზიო მედიამ (საზოგადოებრივი მაუწყებელი, რუსთავი 2, მაესტრო, კავკასია) დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ოფიციალურ პირთა - საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის მილოცვების და ოფიციალური პირების გარდაბანსა და მარნეულში სადღესასწაულო ღონისძიებებზე მონაწილეობის კუთხით გააშუქა. ამასთანავე ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულისადმი მიძღვნილ სიუჟეტებში, მხოლოდ რუსთავი 2-სა და კავკასიას ჰქონდა წარმოდგენილი თავად ეთნიკური აზერბაიჯანელების კომენტარები.

სიკულვილის ენა

ასავალ-ღასავალი, 17-23 მარტი

ბიორბი ბიბაური ჟურნალისტი: "მე ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორ დაეჯახება ქართუმიდის ლად და პრაგმატულ ამერიკანულ ცნობიერს ქართული, კერძოდ კი, სვანური წიხლი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ ამ არარაობის საქართველოს ელჩად დანიშვნა სრულიად საქართველოს სულში ჩაფურთხებას ნიშნავს!

არსება, რომელიც ასეთ რამეს მიაწერს და ასე შეურაცხყოფს ქართული სულის გამორჩეულ მესაიდუმლე და დამცველ სვანებს, ელჩად კი არა, სააკაშვილის რეჟიმის ქათამთუხუცესს ანჟელა მაზმანიანზე ან ლგბტ თემის საპატიო თავმჯდომარედ უნდა დანიშნო!"



პრაიმ ტაიმი, 17 მარტი

ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი: "თუ ის გამოვა [ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო აქციის მონაწილე] მოედანზე, რათა დაგმოს ჩვენი ღმერთი, მიდი და შეაგინეო. თუ ვერ გაიგებს, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო. ამას გვასწავლის ჩვენი უდიდესი მამა იოანე ოქროპირი".

საქინფორმი, 17 მარტი

„აი ამისათვის იაცენიუკი და ტურჩინოვი უნდა მოკლა. ჩაქუჩი ჩასცხო თავში“, - დაწერა სოცქსელეებში ლევგუმბილიოვის ცენტრის დირექტორმა პაველ ზარიფულინმა და დედო მშული დეტექტიური სახელწოდებით „იაცენიუკმა სკვითების ოქრო ამერიკაში გაიტანა“ .

http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18186:2014-03-17-13-59-09&catid=101:ucxoeti&Itemid=385#ixzz2wF5Y4zWi

არისტარხ რაბინოვიჩი: “დღეს ჩვენ ვხედავთ უფრო ამაზრზენ მოვლენას, ვიდრე ნაციზმი და ფაშიზმია. ზღვარგადასული სამაგლობა - ეს არის ებრაელები, რომლებიც ნაცისტებს მხარს უჭერენ და ამართლებენ... მეტიც, ზოგიერთი აფინანსებს ბოვიკების მოსამზადებელ ბანაკებს და ნაცისტურ პარტიებს. არიან რაბინები, რომლებიც ნაცისტებს თავისუფლებისთვის მებრძოლებს უწოდებენ”.

ავტორი ამ კონტექსტში კონკრეტული უკრაინელი პოლიტიკური ლიდერების წინაპრების (ბებიების და ბაბუების) ებრაულ წარმომავლობას განიხილავს.

http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18177:2014-03-17-10-41-09&catid=102:samartali&Itemid=473#ixzz2wF3jMjH

ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი:

"თუ ის გამოვა [ჰომოფობიისა და ტრანსფობიის საწინააღმდეგო აქციის მონაწილე] მოედანზე, რათა დაგმოს ჩვენი ღმერთი, მიდი და შეაგინეო. თუ ვერ გაიგებს, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო. ამას გვასწავლის ჩვენი უდიდესი მამა იოანე ოქროპირი".

არემოფობია, ეთნიკური კუთვნილების დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 19 მარტი

ტელემაყურებელი [სატელეფონო ჩართვა]: "ზურა ქართუმიდე ნუ დაგავიწყდებათ, ბატონებო, ეროვნებით არის სომეხი. დედი, მამით არის სომეხი... ადამიანი, რომელიც ეროვნებას დღემდე მალავს და ფუთავს, იმისგან არაფერი აღარ უნდა გავიკვირდეს. სამწუხაროდ, გვყავს ცუდი ქართველებიც და გვყავს ცუდი სომეხებიც." <http://www.obieqtivi.net/tv1.php?id=16215>

ასავალ-ღასავალი, 17-23 მარტი

ალექსანდრე აბაღლაძე, არმენოლოგი: "ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს არარ-

ატიანცები და ბებუთოვები, რომლებიც განასახიერებენ ქართველი ხალხის ღალატსა და მტრობას! ჩვენ რომ ეს კარგად გვცოდნოდა და გააზრებული გვქონოდა, მაშინ საქართველოს მართვის სადავეებს ხელში არ ჩაუვადებდით მიხეილ ტერ სააკიანცს!.. მიხეილ ტერ-საკიანცი საქართველოს ისეთივე დაუძინებელი მტერია, როგორც არტემ არარატაიანცი!.. აი, ეს ტერ-საკიანცი იმიტომ არ უნდა დაგვესვა თავზე, გვარგადაკეთებული სომეხი რომ იყო! იმ ადამიანისგან, რომელიც თავის წარმომავლობასა და გვარს მალავს, კარგს არაფერს უნდა ელოდე! სწორედ ასეთი ხალხი უდგებოდა ჯა-

შუშად ჩვენს დამპყრობელ სპარსელებს, ოსმალებს, რუსებსა და ამერიკელებს!"

კპირის ძრონიკა, 17-23 მარტი

სტატიაში, რომელშიც ჟურნალისტი ინკოგნიტო რესპონდენტთან ერთად პარლამენტარ გია ვოლსკის გვარის პოლონურ ეტიმოლოგიაზე საუბრობს, რესპონდენტი თემას დაუსაბუთებლად აკავშირებს გვარგადაკეთებულ სომეხებთან და ახდენს სტერეოტიპიზაციას, რომ სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები გვარების გადაკეთებას ახდენენ და ამას მალავენ.

ინკოგნიტო რესპოდენტი:

"ახლა „ტერ“-ს თუ დაურთავ, არის კაი სომხური გვარებიც, მაგრამ მალავენ."

ანტიტურქული განწყობები

კვირის ქრონიკა, 17-23 მარტი

მერაბ ლოლობერიძე, თავისუფალი

საქართველო: „როდესაც დუმბაძემ მეჩეთის მშენებლობას მხარი დაუჭირა, მაშინ მეჩეთის მკვეტი ავუტანე თავის სამსართულიან სახლთან და ვუთხარი, ბათუმის ცენტრში კი არ უნდა აშენდეს, საკუთარი სახლი დაუთმე თურქებს თქო“.

ელიზბარ ჯაფელიძე, სახალხო კრება:

„რუსეთი თუ დაიშალა... საკმაოდ სერიოზული საფრთხე გვემუქრება თურქეთიდანაც. ადრე მითქვამს, რომ თურქეთი დღემდე ვერ შეეგუა აჭარის დაკარგვას. იქ არიან ძალები, რომლებიც აჭარის დაბრუნებას ითხოვენ. აჭარაში ცუდი პროცესებია დაწყებული. სააკაშვილის დროს ათეულობით ათას თურქს მისცეს საქართველოს მოქალაქეობა“.

გელა ზედელაშვილი, ჟურნალისტი:

„...არც ერთს არ მოსვლია აზრად, ფაშუქისთვის ეკითხა: მმაო, ამდენს რომ ატრაკებ, ჩვენი თანამემამულეების მოსპობაზე რატომ ოცნებობო?! არა, ამას როგორ ვკითხავთ, როგორ გაგუბედავთ, ის ხომ ნობელის პრემიის ლაურეატია? თქვენი არ ვიცი და... ვინც ქართველების მოსპობას მოინდომებს, მე პირადად (რისი

ლაურეატიც არ უნდა იყოს) ფეხებზეც არა მკიდია!“

ოზიმატივი, ღამის სტუდია, 21 მარტი

ღამით თარხან-მოურავი,

პატრიოტთა ალიანსი: „ქართველი გლეხი ამოწყდა, ქვეყანა გაუბედურდა. თურქული მესამეხარისხოვანი საქონელი შემოდის და მილიარდები მიდის აქედან... ჩვენ ვუბდივთ ფულს, იმათ შემოაქვთ ნაგავი... და ჩვენ ვიძახით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიო. სტრატეგიული პარტნიორი კი არაა, სტრატეგიული ვამპირია, რომელსაც გააქვს ქართველი კაცის შრომით ნაშთი ფული...“

აგერ თურქეთმა წაიღო უკვე ჩვენი ქვეყნის 30% და ასი წელი არ გასულა... და უკვე ჩვენი მეგობარია თურმე, ოკუპანტიც აღარ არის. აღარაფერი არ გვახსოვს და აგერ ბათუმს ვჩუქნივით“.

http://www.myvideo.ge/?video_id=2290232

http://www.myvideo.ge/?video_id=2290948

ასავალ-ღასავალი, 17-23 მარტი

ვალერი გელბახიანი, იურისტი: "ველარ იცნობ ბათუმს, ვერ გაიგებ, ქართული ქალაქია თუ თურქული, თვითონ ბათუმელებიც შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს."

ანტიტურქული განწყობები საფრთხეების კონტიქსტში

ბეჭდვითმა მედიამ (რეზონანსი, ალია), საინფორმაციო სააგენტოებმა (ინტერპრესნიუსი, საქინფორმი), ტელეკომპანიებმა (კავკასია, იმედი) ვრცლად გააშუქეს სომხეთის პარლამენტის წევრის, შირაკ ტოროსიანის განცხადება, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას საქართველოში თურქეთის ჯარის ყოფნასთან აიგივებს და საპირისპიროდ სამცხე-ჯავახეთში აჯანყებას პროვოცირებს.

შირაკ ტოროსიანი, სომხეთის პარლამენტის დეპუტატი: „არავითარ შემთხვევაში სომეხი ეთნოსი არ მოითმენს თურქი სამხედროების არსებობას იქ, სადაც ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომელი ქვეყნის შემადგენლობაში შედის მოცემული ტერიტორია“.

თუ გაზეთ "ალიაში" (19 მარტი), ინტერპრესნიუსსა (18 მარტი) და საქინფორმში (17 მარტი) მხოლოდ სომხეთის პარლამენტის წევრის პოზიცია იყო წარმოდგენილი, გაზეთ "რეზონანსში" (19 მარტი) აღნიშნული განცხადება საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხების კომენტარებით იყო წარმოდგენილი და ხაზგასმული იყო, მსგავსი საფრთხეების უსაფუძვლობა.

ანტიტურქული განწყობები საზრთოების კონტექსტში

დასაწყისი გვ.4.

ტელეკომპანია კავკასიას საინფორმაციო გადაცემა "დღეში" (19 მარტი) სომხეთის პარლამენტის წევრის განცხადება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტშია განხილული. სიუჟეტში მოყვანილია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარები მსგავსი საფრთხეების უსაფუძვლოდ შესახებ, ასევე ერთ-ერთი ექსპერტის კომენტარი, რომელიც რელიგიური კონფლიქტების ალბათობაზე საუბრობს.

წაალ კასრელიშვილი, კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია: "დღეს, ალბათ, უფრო უპრიანია და მომგებიანი, ახალი თემა წამოწიონ და რელიგიური, ასე ვთქვათ, კონფლიქტი გააჩაღონ საქართველოში." http://www.myvideo.ge/?video_id=2288241

ეთნიკური და სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელ იდენტიფიცირებას გაზეთი "კვირის ქრონიკა" ("შოკისმომგვრელი სიმართლე მაიდანის ლიდერების წარსულზე" - „სოდომის მორევში“, 17-23 მარტი), ინტერნეტ პორტალები "Geworld.ge" ("უკრაინის ახალი ლიდერები - გეგბი და შარაგზის ყაჩაღები“, 20 მარტი) და საქინფორმი ("არისტარხ რაბინოვიჩი: "ებრაელები, რომლებიც ნაციზმს უჭერენ მხარს - ზღვარგადასული სამაგლობაა", 17 მარტი) კვლავ უკრაინის პოლიტიკურ ლიდერებთან მიმართებით ახდენდნენ.

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5742>
http://saginform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=18177:2014-03-17-10-41-09&catid=102:samartali&Itemid=473#ixzz2wF3jMljH

ანტიდასავლური განწყობები

GEWORLD.GE 19 მარტი

ღამით მხიკმე, ჟურნალისტი: "არსენ იაცენიუკი (ევრომაიდანის მთავარი იდეოლოგი), ალექსანდრე ტურჩინოვი (რადას ბაპტისტი სპიკერი), ალექსანდრე მუზიჩკო, იგივე «საშოკელი» და დიმიტრი იაროში (ტერორისტები), არსენ ავაკოვი და ალექსანდრე კირში (ორივე ჰომოსექსუალი), იულია ტიმოშჩენკო (უკრაინაში კორუფციის დედა), ვიტალი კლიჩკო (კრიმინალური ავტორიტეტების პატრონი), ოლეგ ტიგნიბოვი (პირწავარდნილი ბანდერელ-ფაშისტი) - აი, ნამდვილი სახე ამერიკული დემოკრატიისა და არასრული ჩამონათვალი თეთრი სახლის ყმებისა, რომელთა საშუალებითაც მოახდინა აშშ-მ ფაშისტურ-ბაპტისტურ-პედერასტული სახელმწიფო გადატრიალება..."

ერთი მხრივ, უზნეობის, გარყვნილების მორევში ჩამირული დასავლეთია, რომელიც დაუფარავად ცდილობს საკუთარი, ახალი «ღირებულებების» მსოფლიოსთვის თავს მოხვევას, ერთი სიტყვით, მთელი სამყაროს სოდომიზაციას, და მეორე მხრივ, მართლმადიდებელი რუსეთი; მკითხველს შევახსენებ, რომ რუსეთია ევროპა-აზიის სივრცეში ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე 100 წლით აკრძალა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა, ანუ, როგორც მინიმუმ, 2112 წლამდე რუსეთის ტერიტორიაზე გეიპარადები ვეღარ გაიმართება!"

<http://geworld.ge/View.php?ArtId=5729>

ოპიქტივი, ღამის სტუდია, 18 მარტი

ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებადამცველთა გაერთიანება: "მირითადად ხდება, ევროპელებს რაც სურთ, იმ პოლიტიკის გატარება, იმიტომ რომ აქცენტები დღეს კეთდება გენდერულ თანასწორობაზე, ღებტ საზოგადოებაზე... ღებტ საზოგადოებაზე რომ იხარჯება ფული... არ არის საქართველოში იმის პრობლემა, რომ სექსუალური უმცირესობების უფლებები ილაზებოდეს.

კოტრიკაძე მაგდა, წამყვანი: ეს არის ხელოვნურად შექმნილი, იმისათვის, რომ შემდგომ მიიღონ დაფინანსება, ისევე როგორც ეთნიკურ უმცირესობებთან...

ნიკოლოზ მჟავანაძე: ამიტომ ქვეყანაში უცხოური ფული მოქმედებს ქვეყნის წინააღმდეგ, რომ ჩვენ წარმოგვაჩინონ პაპუასებად, რომ თურმე აქ ვიღაცას უფლება არ აქვს რაღაცა ილაპა რაკოს... ეკლესიის დისკრედიტაციისთვის მიდის კიდე ძალიან დიდი ფული".


http://www.myvideo.ge/?video_id=2286973

გაგრძელება გვ. 6

ანტიდასავლური განწყობები

დასაწყისი გვ. 5

ოზიმატივი, ღამის სტუდია,
21 მარტი



ღამით თარსან-მოურავი,

პატრიოტთა ალიანსი:

“ჩავწერთ [ევროკავშირთან ასოცირების] ხელშეკრულებაში, რომ არ ვითხოვთ საქართველოში ერთსქესიან ქორწინებას... რომ ჩვენ აღარ მოგვთხოვთ, რომ სომხურმა და აზერბაიჯანულმა ენებმა მიიღონ რეგიონული ენის სტატუსი...”

ღამით თარსან-მოურავი, პატრიოტთა

ალიანსი: "ჩავწერთ [ევროკავშირთან ასოცირების] ხელშეკრულებაში, რომ არ ვითხოვთ საქართველოში ერთსქესიან ქორწინებას, რომ შენარჩუნდება ჩვენთან ჩვენი ცხოვრების წესი, რომ ჩვენ აღარ მოგვთხოვთ, რომ სომხურმა და აზერბაიჯანულმა ენებმა მიიღონ რეგიონული ენის სტატუსი... რომ ჩვენ არ მოგვთხოვთ თურქი მესხების გადმოსახლებას, გარდა იმ ხალხისა, ცხადია, ვინც ქართველები არიან ეთნიკურად, იმიტომ რომ ყველა ქართველს უფლება აქვს, იცხოვროს საქართველოში..."

საბერძნეთი, ფაქტიურად, ევროპამ გაანადგურა, მისი ეკონომიკა წაშალა, მაგრამ იქ დაერია მის კულტურას, მის ზნეობას, მართლმადიდებლობას... უკვე იმას ითხოვენ, ათონის მთაზე მანდილოსნები უნდა შევუშვათ გინდა თუ არა და ა.შ... იქ მიდის ბერძნული კულტურის და საერთოდ ბერძნული აზროვნების წინააღმდეგ, მართლმადიდებლურ აზროვნებაზე მაქვს ლაპარაკი, საშინელი ბრძოლა... ფაქტიურად, საბერძნეთი ახლა მთლიანად, თავის ტერიტორიიდან-შენობა-ნაგებობიანად ევროპას ეკუთვნის.

ბონდო მძინარიშვილი, წამყვანი: ანუ ეს არის ბრძოლა მართლმადიდებლობასთან.

ღამით თარსან-მოურავი: და რა თქმა უნდა, ამას რომ გრძნობენ, გაიზარდა იქ პრორუსული განწყობები იმიტომ, რომ იქ რუსეთიც მართლმადიდებლური ქვეყანაა.”

http://www.myvideo.ge/?video_id=2290993

http://www.myvideo.ge/?video_id=2290219

http://www.myvideo.ge/?video_id=2290248

GEWORLD.GE 19 მარტი

ელიზბარ ჯავშელიძე, სახალხო კრება: “იმ დოკუმენტში, ფანჯიკიმე რომ მოაწერა ხელი, 17 პუნქტადაა სექსუალური უმცირესობების უფლებები განსაზღვრული და მკაფიოდ წერია, რომ ეს უნდა იყოს მკაცრად დაცული. ახლა გეკითხებით: რა არის ჩვენი ისტორიული არჩევანი _ გეიალუმები?! ერთსქესიანთა ქორწინებები?! თუ რელიგიისა და ეკლესიის შეურაცხყოფა, რაც უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა ევროპაში?!”

<http://geworld.ge/View.php?Artid=5737>

ასავალ-დასავალი, 17-23 მარტი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "არავინ გამორიცხავს, რომ უკრაინას ევროპა და ამერიკა ზუსტად ისევე ანაწევრებენ და წეწვენ, როგორც საქართველო გაყვეს 2008წლის აგვისტოს ომით!"

GEWORLD.GE 20 მარტი

თამარ იოვანავილი, უმუშევართა კავშირი დასაქმებისთვის: "მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები აშშ-ის სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოგონილი, ძალიან ეფექტური იარაღია «ნარინჯისფერი» თუ «ხავერდოვანი» რევოლუციებისთვის... ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები გარყვნილებისა და უმსგავსობის პროპაგანდას პრესითა და ტელევიზიის საშუალებითაც ეწევიან, რომელსაც დემოკრატიული ღირებულებებითა და თავისუფლებაზე საუბრებით ნიღბავენ. ეს ორგანიზაციები, რომლებიც რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების დაცვაზე გაჰყვირიან, ხელოვნურად ქმნიან პრობლემებს და შემდეგ ამაში ფულს იღებენ.”

<http://geworld.ge/View.php?Artid=5739>

რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია და შუღლის გაღვივება

ასავალ-დასავალი, 17-23 მარტი

ჯაბა ხუბუა, ჟურნალისტი: "დიახ, თუ იმაზე ვფიქრობთ, რომ ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ქართული სახელმწიფოსათვის სახიფათოა, ბუნებრივია, იეღოველთა სააგიტაციო ჟურნალის მეგრულ ენაზე გამოცემა ქართული სახელმწიფოსთვის ორმაგი საფრთხის შემცველია!"

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "თუ გავითვალისწინებთ რა დამართა სააკაშვილმა „ასლან აბაშიძისგან განთავისუფლებულ“ აჭარას, ადვილად მივხვდებით, რას აკეთებდა იქ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაუძინებელი მტერი [მალხაზ] სონდულაშვილი და რატომ ჩაესმის „იავნანასავით“ (უფრო სწორად, „ჰელოუნის“ სიმღერასავით!) მინარეთზე ასული ყატარელი მუეძინის ლოცვა!..

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ვინ ბრძანდება მალხაზ სონდულაშვილი: 2013 წლის 31 დეკემბერს, რესპუბლიკულ ლიბერასტა მიერ დაკომპლექტებული თელავის რაიონის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით და ჟურნალ „ტაბულას“ ერთ-ერთი დამფუძნებლის - „სამოქალაქო განვითარების ფონდის“ მონაწილეობით თელავში მოქალაქეების მიერ აღდგენილი სტალინის ძეგლი აიღეს!"

სემსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაცია

პავკასია, სამეტირი 17 მარტი



ვას თანზ რიხულიშვილი, პარლამენტის ყოფილი

წერი: "მოგწონთო იქაური პიდარასტები, ჰომოსექსუალიზმი, ეს ადვირახსნილ... ? ვის მოეწონება?! გიჟი ვარ ახლა, რა უნდა მომეწონოს?"
http://www.myvideo.ge/?video_id=2286290

ასავალ-დასავალი, 17-23 მარტი

გიორგი გიგაური, ჟურნალისტი: "დიახ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამდენი კახისა და პედერასტის ტელეეკრანზე გამოჩენა და იქედან სიბილწეების პროპაგანდირება, კარგად დაფინანსებული და გააზრებული პროპაგანდისტული კამპანიაა!"

ოზიშტივი, ღამის სტუდია, 18 მარტი

ნიკოლოზ მჟავანაძე, უფლებდამცველთა გაერთიანება: "პატრიარქმაც ხომ თქვა, რომ რეალურად სულ ერთიდაიგივე მედია დათმობილი აქვს ამ ლგბტ საზოგადოებას, ტვინის გამორეცხვა ხდება..."
http://www.myvideo.ge/?video_id=2286972



გიორგი გიგაური,

ჟურნალისტი: "თუ გავითვალისწინებთ რა დამართა სააკაშვილმა „ასლან აბაშიძისგან განთავისუფლებულ“ აჭარას, ადვილად მივხვდებით, რას აკეთებდა იქ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაუძინებელი მტერი [მალხაზ] სონდულაშვილი და რატომ ჩაესმის „იავნანასავით“ (უფრო სწორად, „ჰელოუნის“ სიმღერასავით!) მინარეთზე ასული ყატარელი მუეძინის ლოცვა!"

საკმუშაოები 17 მაისის თემაზე

პირველი, 17 მარტი

ბასილ ახვლედიანი, დეკანოზი: “17 მაისს რაც მოხდა, წელს იგივე ნამდვილად არ გველის, გველის უარესი – ამის პირობა შემოდგომა მოგვით, რადგან ვცხოვრობთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში და ჩვენი მრწამსით ეს ცოდვაა, სასიკვდილო ცოდვად ითვლება. თუ 2013 წლის 17 მაისი საზოგადოების ერთი ნაწილისთვის მაგალითი არ იყო, მაშინ წელს ისინი გაცილებით მკაცრ შედეგებს უნდა ელოდნენ. მღვდელმთავრები ალბათ, გადაწყვეტენ როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ ხელმეორედ ასეთი ადამიანების გარეთ გამოსვლაზე”.

http://pia.ge/show_news.php?id=7792



პრაიმ ტაიმი, 17 მარტი



ლაპოი ისაკაძე, დეკანოზი: “ალბათ, უმჯობესი იქნება, პლემბისციტი ჩატარდეს, სადაც ერთსქესიანთა ქორწინებისა და „ლგბტ“ პროპაგანდას თავისი დამოკიდებულება და კანონის ფორმა მიეცემა, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს. „ლგბტ“ საზოგადოებას, თავისუფალი ცხოვრების საშუალება აქვს, თუ ისინი თავის შეკრებებს განყენებულ ადგილას ჩაატარებენ. ეს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს”...

ოზიმეტივი, ღამის სტუდია, 17 მარტი

ნინო რატიშვილი, წამყვანი: “...ჩვენ გვიახლოვდება 17 მაისი, ჩვენ ვუყურეთ, რა ხდებოდა მეიდანზე, კი ჩვენ ვნახეთ იქ ნაციონალები, ჩვენ ვნახეთ გაგულისებულ მიხეილ სააკაშვილი”.

http://www.myvideo.ge/?video_id=2288204

პირველი, 19 მარტი

ლადო სადღოპლაშვილი, მამული, ენა სარწმუნოება: „17 მაისი ახლოვდება და მოვუწოდებ ხელისუფლებას, ამ დღეს დაგეგმილი „ლგბტ“ ღონისძიება აღკვეთოს, რადგან რუსთაველზე გეგმის გასეირნება ქართველთა 99 პროცენტს აღიზიანებს. ხელისუფლების ვალია, მხოლოდ იმ ერთი პროცენტის კი არა, 99 პროცენტის უფლება დაიცვას. რაც მთავარია, ამ ყველაფერს პროპაგანდა არ უნდა გაუწიოს ტელევიზიებმა. რატომ უნდა, ამ დღეს გამოვლენ გეგმისა და ლესბოსელების დამცველი, კარგად დაფინანსებული ორგანიზაციები. იქნება პროვოკაცია, შეიძლება ვიღაცას თავში რაღაც მოხვდეს, მაგრამ არ უნდა გაგიკვირდეს, რადგან ეს ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში ხდება. ამიტომ ლგბტ-ს დამცველებს ვაფრთხილებ, შეელიონ გრანტებს და გონს მოეგონ, თორემ ძალიან მალე ქარიშხალს მიიღებენ!“

http://pia.ge/show_news.php?id=8019&lang=geo

ბიძინა ივანიშვილის განცხადება 2013 წლის 17 მაისის მოვლენებზე

არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქის" ხელმძღვანელის, ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ ლგბტ პირებს ყოველთვის სცემდნენ აქციებზე, ხოლო 2013 წლის 17 მაისის აქციის მასშტაბურობას ნაციონალურმა მოძრაობამ შეუწყო ხელი ტელეკომპანია "ტაბულამ" (20 მარტი), ინტერნეტპორტალმა "ნეტგაზეთმა" (19 მარტი) და სააგენტო "პირველმა" (19 მარტი) გააშუქეს. "ტაბულას" საავტორო გადაცემაში "თეორემა" გადაცემის წამყვანმა ამ შეფასებას ტყუილი უწოდა, ხოლო "ნეტგაზეთმა" აღნიშნა, რომ ივანიშვილს არ დაუკონკრეტებია, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით საუბრობდა ის ნაციონალური მოძრაობის ჩართულობაზე ამ პროცესში. "ნეტგაზეთმა" ასევე სრულად გამოაქვეყნა ორგანიზაცია "იდენტობის" წერილი ბიძინა ივანიშვილის სახელზე, რომელშიც ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადება დეზინფორმაციად არის შეფასებული.

ბიძინა ივანიშვილი, მოქალაქე: "ყოველთვის სცემდნენ ამ ხალხს... მასშტაბური იყო იმიტომ, რომ ეხმარებოდნენ ამას ნაციონალური მოძრაობის წევრები, ძალიან ანგაჟირებული იყო მათი მხრიდან, მაგრამ მაინც მოახერხა სახელმწიფომ ის, რომ არ იცემა ეს ხალხი და ეს იყო პირველი შემთხვევა პრაქტიკულად... მე მახსოვს მთავრობის სხდომა მიმყავდა და მთავრობის სხდომიდან ხან ირაკლის ვურეკავდი, ხანაც მეუფე იაკობთანაც მქონდა სატელეფონო ზარები და ასე შემდგომ ვცდილობდი, რომ ეს პროცესები დარეგულირებული ყოფილიყო."

<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/29351/>
<http://www.netgazeti.ge/GE/105/opinion/29388/>
http://pia.ge/show_news.php?id=7997&lang=geo

ცრურწმენები

იზიმატივი, ღამის სტუდია, 17 მარტი

ნიკო რატიშვილი, წამყვანი: „თუ არ ვცდები, 2014-15 წლიდან ევროკავშირის ქვეყნებისთვის აუცილებელი იქნება და არა დავუშვათ ვიდაცის სურვილზე, ჩიპების ჩადგმა ადამიანებში, დაწყებული ჩვილი ბავშვებიდან, დამთავრებული ნებისმიერი მოქალაქით... არიან ადამიანები, რომლებიც ამას ჯერ ნებაყოფლობით აკეთებენ დასავლეთში...“

http://www.myvideo.ge/?video_id=2288171

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

კვირის ქრონიკა 17-23 მარტი

თამარ ოძრუაშვილი, ჟურნალისტი:
 „...ჰყავს მოხუცი დედა, ორი ვაჟი, „ძალღვივით ერთგული“ ცოლი და „ცოლივით ერთგული“ ძალი“.



გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია

დასაწყისი გვ. 9

რეპორტიორი, 18 მარტი

გივი სუსარულიძე, მსახიობი: „ჩემი პასუხი გენდერულ თანასწორობაზე ასეთია - ვემხრობი, რომ ყველა ქალმა იმუშაოს ტრანქტორისტად, მძღოლად კომბაინზე, თოხი აიღონ ხელში და დღე და ღამე ვირივით მუშაობაში გაატარონ. მამაკაცები ამას აკეთებენ ოჯახის შესანახად, ქალებს ხომ უნდათ გენდერული თანასწორობა, ჰოდა, იმუშაონ კაცებივით და ნუ უჩნდებათ სურვილი, იყვნენ მინისტრები, დეპუტატები და ა.შ... აბა, ისაა გენდერული თანასწორობა, ცოლი რომ რვაჯერ სცემს ქმარს და კაცს თინა ჰქვია და მის ცოლს ჟორა?!.. მაგრამ დღეს ვის ვინ უყვარს?! რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, ესაა მასხარაობა. ჩართეთ ტელევიზორი, ბოზობის მეტზე არაფერზე ლაპარაკობენ! ჩემს უბანში უმრავლესობა ბოზი ცხოვრობს. ერთი პატიოსანი ქალია მხოლოდ. ადრე ბოზობა იყო სირცხვილი და ახლა წესიერებაა სირცხვილი, აი რა დონეზე დავეშვით“.

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=20306>

არასამთავრობოების ერთობლივი განცხადება ტელეკომპანიის იმედის ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით



გვინდა შეშფოთება გამოვხატოთ 23 მარტს, ტელეკომპანია "იმედის" ეთერში, გადაცემა "პანორამაში" (20:00) გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს შეეხება. სიუჟეტი, რომელშიც, ჩვენი შეფასებით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის არაერთი ნორმა დარღვეული, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და ვითარების ხელოვნურად დრამატიზირების მცდელობას წარმოადგენს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული სიუჟეტი არ გამოხატავს ტელეკომპანიის გაცნობიერებულ სარედაქციო პოლიტიკას და მივმართავთ "იმედის" ხელმძღვანელობას, რეაგირება მოახდინოს გადაცემის წამყვანისა და სიუჟეტის ავტორის მხრიდან მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შემდეგი ნორმების დარღვევის ფაქტებზე:

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე (1) მუხლის თანახმად, "მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებასა და უარყოფით მოვლენებს შორის დაუსაბუთებელი პარალელების გავლენას, მათ შორის ცალკეული პიროვნებების საქმიანობის ასოცირებას მთელ ჯგუფთან."

გადაცემის წამყვანმა სოსო კაციტაძემ დაარღვია აღნიშნული მუხლი, როდესაც ყირიმის ანექსია დაუსაბუთებლად დაუკავშირა სომხეთის პარლამენტის წევრის შირაქ ტოროსიანის განცხადებას ჯავახეთში აჯანყების შესახებ და მისი ამ განცხადების ასოცირება (რომლის არც წყარო, არც წარმომავლობა სიუჟეტში იდენტიფიცირებულია).

არასამთავრობოების ერთობლივი განცხადება ტელეკომპანია იმედის ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით

იცირებული არ ყოფილა) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების პოზიციასთან მოახდინა.

სოსო კაციტაძე, წამყვანი: "რა განწყობება ჯავახეთში ყირიმის ანექსიის შემდეგ? სომხეთის პარლამენტის წევრი შირაქ ტოროსიანი საქართველოს ნატოში გაწევრების შემთხვევაში, ჯავახეთში აჯანყებით იმუქრება. საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომხებში მართლაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ბაქო-თბილისის ყარსის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობის მიმართაც. მიზეზი აქაც ნატო და თურქეთია."

როგორც გადაცემის წამყვანის, ასევე ჟურნალისტ გურამ როგავას მხრიდან იკვეთება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მცდელობა, რადგან სიუჟეტის რესპონდენტებად მხოლოდ ერთი შეხედულების მქონე ადამიანები არიან შერჩეული, ხოლო მათი მოსაზრებები განზოგადებულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ სომეხ მოქალაქეებზე, რაც ანტიეთურული და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრების წინააღმდეგ განწყობების გაღვივების კუთხით არის მოწოდებული.

გურამ როგავა, ჟურნალისტი:

"თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამ პროექტს [ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი] ეწინააღმდეგებიან საქართველოში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოქალაქეები. მათთვის მთავარი პრობლემა თურქეთია."

ამ განზოგადებას მთელ ეთნიკურ ჯგუფზე (საქართველოს მოქალაქე სომხებზე) ჟურნალისტი ერთი რესპონდენტის, გაზეთ „ახალი სათავის“ რედაქტორის მელს ტოროსიანის კომენტარის საფუძველზე აკეთებს, რომელიც პოტენციურ საფრთხეებზე საუბრისას, თავის მხრივ, არა დაასტურებელ ფაქტებზე, არამედ მოარულ ხმებზე აპელირებს:

მელს ტოროსიანი, გაზეთ „ახალი სათავის“ რედაქტორი:

"რკინიგზის მთავარი მიზანი თურქი ხალხების გაერთიანებაა. ძალიან დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ამას იმიტომ, რომ უკვე იმ ფორმებში, რომლებიც რკინიგზას აშენებენ, გააგრძელებს ხმები, რომ საქართველოს ხელისუფლება რკინიგზის დაცვას ჩააბარებს აზერბაიჯანელებს. აზერბაიჯანის და სომხეთის ურთიერთობები თქვენ ჩემზე კარგად იცით. ანუ რკინიგზა მხოლოდ რელსები არაა, გვერდით გზები უნდა მივცეთ - კილომეტრი აქედან, კილომეტრი იქიდან და მთელ ჯავახეთს გააკონტროლებენ აზერბაიჯანელები".

მედია საშუალებას არ მიუღია სათანადო ზომები ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასარიდებლად. სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რესპონდენტის მიერ მოყვანილ მოარულ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს საქართველოს მთავრობა რკინიგზის დაცვას აზერბაიჯანელებს ჩააბარებს, რაც ერთის მხრივ, მედია საშუალების მიერ ჭორების ტირაჟირებას, ხოლო მეორე მხრივ, სიტუაციის ხელოვნურად დამაბვას უწყობს ხელს. უფრო მეტიც, ყოვლად დაუშვებელია, როცა ჟურნალისტი რესპონდენტის მიერ შემოთავაზებულ ამ ვერსიას საფრთხეების და ეთნოკონფლიქტების ჭრილში განაზოგადებს.

გურამ როგავა, ჟურნალისტი:

"მიზანი აზერბაიჯანისა და თურქეთის გაერთიანება და საქართველოს მიწაზე დასახლებული სომხების ემიგრირებაა."

მედია საშუალებამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 (2) (მაუწყებელი ვალდებულია, მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუმვას ცრუ ან შეცდომაში შეყვანი ინფორმაციის გავრცელება); მე-14 (4) (როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია); მე-16 (4) (მაუწყებელი ვა-

არასამთავრობოების ერთობლივი განცხადება ტელეკომპანია იმედის ეთერში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით

დასაწყისი გვ. 11

ლდებულის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია); მე-18 (1,2) (1. პოლიტიკური მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუკერძოებლობა არ გულისხმობს თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობას, არამედ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმოდგენა. 2. პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს) მუხლები.

ყოვლად გაუმართლებელია ასევე უფლებრივი საკითხის - რეგიონალური ენის სტატუსის თემის სეპარატიზმის კუთხით განხილვა, მით უფრო მაშინ, როცა სიუჟეტში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, თავად რესპონდენტთა უმრავლესობა (ვაჰაგან ჩახალიანი, არტაკ გაგრიელიანი, დავით რსტაკიანი) სეპარატიზმის ჭრილში ამ საკითხის წარმოდგენას მიზანმიმართულ პროვოკაციად აფასებენ და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების სურვილს გამოხატავენ.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი ასევე აწესებს ნორმებს, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების თავიდან აცილება. სიუჟეტში მოყვანილია ადგილობრივი გაზეთის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის თანახმად, ადგილობრივთა 70% ევროინტეგრაციის მომხრეა, 30% კი წინააღმდეგი, თუმცა არ არის წარმოდგენილი კვლევის გაშუქებისთვის აუცილებელი ისეთი რეკვიზიტები, როგორცაა გამოკითხულთა რაოდენობა, სავარაუდო ცდომილება, გეოგრაფიუ

ლი არეალი და სხვა.

უფრო მეტიც, სიუჟეტში მოყვანილია თავად ჟურნალისტის მიერ ჩატარებული ალტერნატიული გამოკითხვა, რომელშიც ანტიამერიკული და ანტიევროპული განწყობები რუსეთთან ურთიერთობის საპირწონედ არის წარმოდგენილი. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 27-ე (3) მუხლი ავალდებულებს მაუწყებელს, "ინტერაქტიული გამოკითხვის შედეგის გაშუქებისას მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ ის არ არის წარმომადგენლობითი, სანდო და ზუსტი, ვინაიდან ასახავს მხოლოდ თვითმერჩეულ ადამიანთა მოსაზრებებს," რაც ტელეკომპანია "იმედის" მხრიდან დაცული არ ყოფილა.

ვთვლით, რომ ტელეკომპანია "იმედი" მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ისეთი მგრძობიარე თემების გაშუქებას, რომელიც სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს და მათ შორის ურთიერთობებს შეეხება და მსგავსს შემთხვევებში იხელმძღვანელოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 32-ე (1) მუხლით, რომელიც მაუწყებელს ავალდებულებს, "სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით".

იმედს გამოვთქვამთ, რომ ტელეკომპანია "იმედი" სათანადო რეაგირებას მოახდენს გადაცემა "პანორამაში" გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რითაც პირველ რიგში, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას და პატივისცემას გამოხატავს.

მედიის განვითარების ფონდი, MDF
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, GDI
ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, TDI

მრავალფეროვნების სკოლა

22 მარტს მრავალფეროვნების სკოლაში სტუდენტებისთვის პირველი ტრენინგი გაიმართა. მსმენელებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ილიას უნივერსიტეტის რექტორმა გიგა ზედანიამ, საქართველოში შვეიცარიის ელჩის მოადგილემ ფლორან გუბლერმა და მედიის განვითარების ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ თამარ კინწურაშვილმა.

სკოლაში სამოქალაქო ჟურნალისტიკის კურსს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში კვოტირების წესით ჩარიცხული არაქართულენოვანი, ასევე საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები გადიან.

პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია თემატური ლექციების და დისკუსიების ჩატარება. 22 მარტს ამ ფორმატში მსმენელებს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის წარმომადგენელი ბექა მინდიაშვილი შეხვდა, რომელმაც ტოლერანტობის ცენტრისა და ტოლერანტობის თეორიების შესახებ ისაუბრა. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია.

პროექტს მედიის განვითარების ფონდი საქართველოში შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით ახორციელებს.



MDF
GDI

www.mdfgeorgia.ge

www.gdi.ge

ილ. ჭავჭავაძის გამზირი №54, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , mdfgeo@gmail.com

დ.გამრეკელის #2, ქ.თბილისი, საქართველო, 0179 , info@gdi.ge